**დამატებითი შეთანხმება № 60-7-220-086**

**2019 წლის 17 სექტემბრის №60–7–219-2008 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

ქ.თბილისი 29 01, 2020

წინამდებარე დამატებითი შეთანხმების მხარეები:
ერთის მხრივ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში–„შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი მმართველთა საბჭოს წევრის დავით ვარდიაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „გაგუ“ (შემდგომში –„მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი გაგუას სახით,

**აღწერილობითი ნაწილი:**

მხარეებს შორის, 2019 წლის 17 სექტემბერს გაფორმდა №60–7–219-2008 ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება“) ორი ცალი FLIR-T425 ხელსაწყოს დაკალიბრების მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით. ფლირის თერმული კამერების ინსპექტირების დროს აღმოაჩნდა, რომ კამერას, სერიული ნომრით 48806239, აქვს დაზიანებული მნიშვნელოვანი დეტალი (BARE pcb. NT198603), რომლის გამოცვლის გარეშე ვერ მოხერხდებოდა კალიბრაცია, რადგან კამერა იციმციმებდა და ტემპერატურის მუდმივი ცვლილება იქნებოდა შესამჩნევი.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ახლად აღმოჩენილი გარემოებების გათვალისწინებით, შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების პირობების მისადაგების მიზნით, აუცილებლობას წარმოადგენს ხელშეკრულებაში შევიდეს შესაბამისი ცვლილება. გაიზარდოს ხელშეკრულების ღირებულება 1093,76 (ათას ოთხმოცდაცამეტი ლარი და სამოცდათექვსმეტი თეთრი) ლარით და ნაცვლად 14800 (თოთხმეტი ათას რვაასი) ლარისა განისაზღვროს 15893,76 (თხუთმეტი ათას რვაასოთხმოცდაცამეტი ლარი და სამოცდათექვსმეტი თეთრი) ლარით დღგ-ს ჩათვლით, რაც არ აღემატება ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ს.

2019 წლის 17 სექტემბრის №60–7–219-2008 ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.1. პუნქტის, სსე-ს მმართველთა საბჭოს წევრის 15.01.2020 წლის N331 სამსახურებრივი ბარათის და 2020 წლის 22 იანვრის N2 მმართველთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მხარეები შევთანხმდით ურთიერთშორის და ვდებთ წინამდებარე დამატებით შეთანხმებას შემდეგზე:

1. 2019 წლის 17 სექტემბრის №60–7–219-2008 ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „3.1 მომსახურების საერთო ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად და შეადგენს 15893,76 (თხუთმეტი ათას რვაასოთხმოცდაცამეტი ლარი და სამოცდათექვსმეტი თეთრი) ლარს;

2. 2019 წლის 17 სექტემბრის №60–7–219-2008 დანართი №1 შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს წინამდებარე დამატებით შეთანხმების დანართი №1-ის შესაბამისად;

3. 2019 წლის 17 სექტემბრის №60–7–219-2008 ხელშეკრულების სხვა დანარჩენი პირობები რჩება უცვლელი;

4. მხარეებს არ გააჩნიათ არავითარი პრეტენზია ან მოთხოვნა ერთმანეთის მიმართ ხელშეკრულებაში მითითებული ცვლილებების შეტანის შედეგად;

5. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული 2019 წლის 17 სექტემბრის №60–7–219-2008 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და არ შეიძლება გამოყენებულ ან/და განმარტებულ იქნას მითითებული ხელშეკრულებისგან განცალკევებით ან/და გარეშე;

6. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

**მხარეები:**

| „შემსყიდველი“: | „მიმწოდებელი“: |
|---|---|
| სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ | შპს „გაგუ“ |
| _____ | _____ |
| დავით ვარდიაშვილი<br>მმართველთა საბჭოს წევრი | ირაკლი გაგუა<br>დირექტორი |

**დანართი N1**

**ფასების ცხრილი:**

| № | შესყიდვის ობიექტის დასახელება | ტექნიკური აღწერილობა | საქარხნო/სერიული ნომერი | რაოდენობა (ცალი) | ერთეულის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი) | საერთო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FLIR-T425 ხელსაწყოს დაკალიბრების მომსახურება | სრული წონა: 4,8კგ; სიგრძე: 46სმ; სიგანე: 35სმ; სიმაღლე: 16სმ. | 48806238 | 2 | 7400,00 | 15893,76 |
| | | | 48806239 | | 7400,00 | |
| 2 | Spare part BARE2 patch A | | T198603 | 1 | 1093,76 | |

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

დავით ფარდიაშვილი
მმართველთა საბჭოს წევრი

შპს „გაგუ“

ირაკლი გაგუა
დირექტორი

JSC Georgian State Electrosystem
Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2020.01.29 14:20:43 +04'00'